

თეატრი

№ 37

საყოველ-კვირბო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი.

№ 37

14 სექტემბერი

გამოიცემა ყოველ კვირაკობით

1886 წელს.

ფასი გაზეთი „თეატრი“-სა ერთის წლით..... 5 მან. Xსსსკვარ წლით.... 3 მან. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქც. კონტორაში ზრწრწინსეულ ქანკას. ფოთში ბ-ნი ბესარიას კალანდაქსთან.

ცალკე ნუმერი გაზ. „თეატრი“-სა ღირს 15 კაპ.

ისყიდება: თბილისში: ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, შავერდოვის სააგენტო კონტორაში, ალიხანოვის პაპიროზის მაღაზიაში, ხიდის ყურთან. ქუთაისში კილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკმახერ არსენასთან.

გამოგზავნილი სტატიები, კორრესპონდენციები, ლექსები და სხვა წერილი წერილები, თუ რედაქციამ საჭიროდ დაინახა შესწორდება.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ წერილების ავტორთ სტატიები გარჩევით იყენენ დაწერილი.

გამოგზავნილი ხელთ-ნაწერები რედაქციაში ინახება მხოლოდ ერთს თვეს. სტატიების უკან გაგზავნას რედაქცია არ კისრულობს.

ყოველ წერილში აუცილებლად მოხსენებული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисть. Въ редакцію газ. „ТЕАТРЪ“ Галлерей бив. Арцруни № 110.

კვირას 14 ენკენასთვის

ქართული დრამ. დასისავან წარმოდგენილი იქნება: I ეხლანდელი სიყვარული კომედიას 4 მოქმად.გადმ. გ. აბაშიძისავან და II სცენები მომრიგებელ სასამართლოში ერთ მოქმედებათ დაგ. სოსლანისა. დასაწეისა 8 საათზედ. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

თეატრის კვირა

(გუძლენი დ. სოსლანს)

განაღა სთქვას ერთი ორი უმზგავსო და შორი-შორი; მაგრა იტყვის, ჩემი სფობსო, უცილობლობს ვითაფორი. რუსთველი

როდესაც ბოდვას შეჩვეული კაცი ბოდვას მოჰყვება ხოლმე—იტყვიან მთვარის შემლა არისო. ბ. დავით სოსლანის ლიტერატურულ

ბოდვასაც ალბად მთვარის შემლავე აქვს მიზეზად. დადგა შემოდგომა და ამ „ლიტერატორმაც“ (დმერთო შეგცოდდე) მართო თავისი ქამანჩა-სტვირი

„საღაღობოდ, საგინებლად, ამხანაგთა სათრეველად“

და პირველი ისარი ჩემსკენ გამოისროლა.

არ ვიცი ეს პირველი ისარი და ეს ყურადღება ჩემდამი რას უნდა დავაბრალო? ქებად, მივიღო თუ ძაგებად,—მე ეს არ ვიცი, მაგრამ უფრო ჭკუაზე ახლოა, რომ ეს ისარი იმ ცირკულიარის მაგიერია, რომელსაც ბ. დ. სოსლანი გამოსცემს ხოლმე, როდესაც კი რომელსამე გაზეთში მონაწილეობას ვეფარ მიიღებს და ამ „ფრიად საყურადღებო“ გარემოებას უველას ატყობინებს. ბ. დ. სოსლანი ჩვენს გაზეთში ვეფარ მუშაობს. რა მიზეზით,—ეს თვით ბ. სოსლანმა კარგად იცის და რომ ეს მიზეზი ჩვენში და-

რჩეს, მისთვის, ვგონებთ, უკეთესი იქნება; მაგრამ რა ექნა ამ „ვაკუბატონს, როგორ შეეტუბობინებინა „თეატრის“ მკითხველებისათვის, რომელთაც ფუტკარსავით იყარეს იმის თავის-დანებების შემდეგ, რომ მე ამ გაზეთში აღარა ვმუშაობო. იფიქრა, იფიქრა და აი მოიფიქრა ის წერილი, რომელიც „ნოვოე ობოზრენიის“ სექტემბრის 4-ის ნომერში არის დაბეჭდილი.

რაზედ არის ეს წერილი?

კიდეც და კიდეც რუსთველის „ხელობაზედ“. საბრალო რუსთველიო, ბძანებს ბ. დ. სოსლანი და ჩვენც გულ-წრფელად თანავუგრძნობთ ამ სიბრაღეულში. მართლა რომ საბრალოა რუსთველი, რაკი ბ. დავით სოსლანის ხელი-ხელ სატარებელი გახდა. არა იმ დავით სოსლანისა, რომელიც მას თავის ლექსებში ჰყავს აწერილი, არამედ ნასემინარიელის და ამ ეხმად ნოვოე ობოზრენიის თანამშრომელის დავით სოსლანისა...

ეს დავით სოსლანი № II ბძანებს, რომ არავის რა გეუბრებათ „ვეფხისტყაოსნისა“ და თუ ეუბრება ვისმე ქართველებში—ეს ბიჭი მე განლაგართო. ანტონ ფურცელაძე რომ ბძანებს რუსთველობა ხელობაა, ეს სისუღეღეაო, მაგრამ ნაკლები სისუღეღე არც ერთის ქართულის გაზეთის რედაქციას მოსდის, როდესაც იგი ამბობსო რომ რუსთველს შეემინდა თამარისა, რაკი თავის პოემის საგნად გაჰხადა და თავის დანამაჟულის დასაფარავად ამბობს რომ მე ხელობით რუსთველი ვარო, რაც (რუსთველი) ამ შემთხვევაში მოღიქსესა ნიშნავსო. ბოდიშ ვიხდი მკითხველთან, რომ ამ საგანზედ კიდეც სიტყვის ჩამოკლება მომიხდა, მაგრამ სიტყვას ვაძლევ ეს წერილი უკანასკნელი იუოს ჩემგან რუსთველის ხელობაზედაც და დ. სოსლანზედაც. ამ უკანასკნელზედ სიტყვა მხოლოდ იმიტომ ჩამოვადეთ, რომ მისი ლიტერატურული კეთილ-სინიდიისანობა(?) დამემტკიცებინა. საქმე აი რა გახლავთ: მე სრულიად ის არ მითქვამს, როგორც ბ. დ. სოსლანი ბძანებს, ვითამ რუსთველი ამბობდეს მე ხელობით რუსთველი ვარო. რაცა ვსთქვი ის თეატრის 34 №-ში სწერია და მკითხველს შეუძლიან ის აზრი გამოიტანოს, რაც იქ არის. ბ. სოსლანისათვის კი ჩემის აზრის გამეორება, ვგონებთ საჭირო არ იუოს, რადგან ვინც ერთხელ სხვის აზრს გადაასხვავებებს თავის საკუთარის სარგებლობისა თუ სურვილისათვის, ის მეორედ უფრო ადვილად მიახერხებს ამისთანა თავისუფალ ნავარდს.

რაც შეეხება ბ. დ. სოსლანის თამამად დაპარაკს,—„ხელობა“ რუსთველის ხსენებულ ლექსში ჭკუიდამ შემლას ნიშნავსო და ამ უბრალო აზრს ჩემს გარდა ვერავინ მიხვდითო,—ამაზედ აი რა უნდა მოვასხენოთ ისტორიულ დავით სოსლანის ფენს: თუ ხელობა პირველსტრიქონში ჭკუიდამ შემლას ნიშნავს, როგორ მოხდა, რომ სწორედ მეორე სტრიქონში ამავე სიტყვას მხარობს რუსთველი და სწორედ „ჭკუიდამ შემლას“ მნიშვნელობით. ჩვეულებრივ, როცა რუსთველს რომელიმე ერთგვარი მაგრამ სხვა-დასხვა მნიშვნელობიანი სიტყვა რამდენჯერმე აქვს ნახმარები ერთსა და იმავე ტაეჰში, უეჭველია ამ სიტყვას სხვა-დასხვა მნიშვნელობა ექნება. რაკი მეორე სტრიქონში „მისთვის ვხელობ მითვის მკვლარი“ სიტყვა „ვხელობ“ ნიშნავს ჭკუიდამ გადარევას სიყვარულისაგან, პირველში სიტყვა „ხელობით“ უნდა ნიშნავდეს ხელობით მოშაირობას, მოღიქსეობას, პოეტის ხელოვნებას, როგორც ამბობს თვით რუსთველი მეექვსე ტაეჰში, რომ ლექსემის სათქმელად „ხელოვნება“ მინდაო.

ბოლოს ერთს რასმე ვურჩევთ ბ. დ. სოსლანს: შეადგინოს ლიტერატურული კატეგორიზაცია რამდენიმე კითხვისაგან. პასუხი რომელსამე გამოცდილ ლიტერატორს დააწერიან და ყოველდღე დილით უზმოზედ იხევიროს აი ეს კითხვები:

- 1) რას ჰქვიათ ლიტერატურული კეთილ-სინიდიისანობა?
- 2) როდესაც მთვარე შეიშლება და ავად-მყოფს ბოდევის სიყვარული მოსდის, უნდა ილიტერატუროს, თუ საშინაო ხალათი ჩაიცვას და თავზედ ცივი წყალი ისხას?
- 3) როცა კაცმა ნამდვილად არ იცის რომელიმე საგანი, უნდა მორიდებით წარმოთქვას თავის აზრი მასზედ და ეჭვიც არ დამალოს, თუ თამამად წამოიძახოს, ჩემი აზრი ესა და ეს არის და ყველანი დამეთანხმეთო; ერთის სიტყვით, შესაფერის სიფთხილით უნდა ილაპარაკოს, თუ ადამიანის სახე ედოს და ვითა ჯორი უცდილობლობდეს კი?

როცა ბ. დ. სოსლანი ამ კითხვებზედ რიგიან პასუხს მომცემს, მაშინ იქნება კიდეც როდისმე ჩამოვადო იმაზედ დაპარაკი, მანამდის, უკაცრავად ნუ ვიქნებით, მე განვებ თუ ძალად შემლიღების წერილების კითხვით თავს ვერ შევიწუხებ.



ხელოვნური პოეზია

გაზათხულის პირს.

ასტირდა თოვლა, ბუნებს
დაედო ღვთისა წყალობა,
შოშიაც უკვე მოფრინდა
საამოთ მორთო გალობა.

საცაა ყვაილთ კრებანი
ნაზათა გადიშლებიან,
და ღელეებიც მთისანი
სავერდებ ამწვანდებიან.

ზამთრით შესუთულ ხელდგმულნი
ხელ ასლად გაღვიდებიან
და ძარღნი სისხლით აღესიღნი
მძლავრად აჭეთებებიან.

წყალი აჭმდის უნივისგან
ეინულ ჭკემ დადუშებულნი,
ხმა გაკემნდილი ჩემ ჩქეფით
სიღოოხლე მოძულეებულნი,
ასლა მოღელავს ამყად,
ზვირთს ზვირთხედ მოიმჩქეფარებს
და რაც დრო გადის იმდენად
სმოიანობს და მღელვარებს.

მთას თოვლი მზისა სხივებით
ათას ნაირად ელვარებს
და წვეთ წვეთადა უგზავნის
წყაროს ფერდობთა მწვერვალებს.

ნამთაც უსართი, სასხურლად
ელტვიან ყვაილთ კრებასა,
ნეტა მას სულდგმულსა ვინც მხერდეს
სიტყვით ამ ნეტარებასა.

ზაყული.

აკროსტიხი ესე მიერთმევის მათს ბრწყინვალეობას
ლიდ-პატივ საცემელის თაყვანს ნამუკას ჭომიხის ძეს
ორბელიანს 1880 წ. ნოემბრის 18.

თქვენდა ღირს-მყავით აწმესხმის მოსხუნებად;
აღონაჲ ღმერთი იყო მტველ-მიფარულად.
ვითარცა ღირს ხარნ ჭებად შემოზადის;
აქ პეტერბურს მომანდებით გვანარედ ჩვენდა;
დიდ-დიდებულ გვარ-ტომობით სახელოვან:
ორღანო ტკბილად მეტუველ რიტოროვანო.
რაცხვი არ მჭკს თქვენდამო პატივის-ყოფად

ბრძანებ დიდ-ქცევის შესახამ თქვენისა,
ესრედ საყვარლო ჩვენის მამულისად,
ლიტონო გულითა სიბრძნე-სიმდაბლითა,
ივერისა პატივ-ცემულო და აჭაც,
აღსრულო მდალს კათედრს ხარისხობის,
ნუ გეჭყოფ უწყებად არცა დავიწყებადის,
საბრალოს სვიმონას გვართთა ტაბიქს.
(ეს ლექსი მივიღეთ პატივცემული კნ. ნინო ორბელიანისაგან)

სამი მოგზაური.

(თარგმნილი)

შორის ჭიქუნდიდან სამშობლოში დაბრუნებულნი,
მოსურს დედა-კაცს კარს მიადგენენ მგზავრნი, ცნობილნი.

„მიგვიღე მგზავრი, მოგვეც ბინა—ღამეა ბნელი...
„სად გვავს ასული მშვენიერი და სასურველი?“

— ძმებო! მიღებად, სამსაშინძლოდ მზათ არის გული...
გარდაიცვალა მშვენიერი ჩემი ასული!—

ბნელსა სენაკში, ჯვარცმის წინა ღვივის ღამეზარი:
იჭვე სდგას კუბო—სწევს კვევური ასული მკვდარნი.

ერთი მათგანი მის კუბოს ჭხდის წუნარად საფარსა
და ნაღვლიანად ზედ დასტყევის ასულსა მკვდარსა.

„ოხ, მშვენიერო! ნეტავ იყო ესლა სულდგმული—
შენ იქმნებოდი, ვფიცავ, ჩემგან შეყვარებული!“

მეორემ ისევ გარდაჭფინა მცხედარს საფარი,
თავი დახარა და დაიწყო გოდება მწარი.

„ოხ, სულა ტკბილო, საყვარლო! ნუ თუ განჭარდი?
გახსოვს, სატრფოო, რა ნაირად მე შენ მიყვარდი?“

მხოლოდ მესამე კუბოსა ჭხდის ისევ საფარსა
და უამბორებს ლურჯ ბაგეთა, დასტირს მცხედარსა,

„გულით მიყვარდი... გსასოებდი... მე მახსოვრები!
გფიცავ, უფასო!—იმ სოფელშიც კი შეყვარები!...“

გ. თორელი.

მართული თეატრი ორი წლის განმავლობაში

ყოველს საქმეს საზოგადოთ და განსაკუთრებით
საზოგადოებრივს საქმეს, როგორც ყოველს სხელს
ბუნებაში, უეჭველათ აქვს თავისი დასაწყისი—ამ

დასაწყისის მიმდინარეობა, ესე იგი, თავისი ისტორია. ქართულ თეატრსაც აქვს თავისი ისტორია (თუმცა მოკლე), რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ ჯერობით არ არის გამოკვლეული, მეტადრე ის პერიოდი საიღამაც იწყება ჩვენის თეატრის მკტიცე ნიადაგზე დაფუძნება, ისე იგი 1877 წლიდან მოყოლებული დღევანდლამდე. ვიმეორებთ არ არის გამოკვლეული, თუმცა გამოკვლეული უნდა ყოფილიყო. მიზეზი:—ჩვეულებრივი ჩვენი დაუდევრობაა, რომელიც იმის მაგიერ რომ განქარწყლებული ყოფილიყო, დღე დღეზე უფრო ძველ რბილში უჯდება ყოველს ჩვენთავანს და საზოგადოთ მთელს ჩვენს საზოგადოებას.

რაც გინდ მცირე საზოგადო საქმე იყვეს, თუ მის დღევრძელობას, თუ მის ავ-კარგობას და მის ისტორიას ცოტათ მანც არ ეხება თანამედროვე ლიტერატურა, იგი ყუჩდება თითქოს კვდება. ასეთი ლიტერატურის თვალ-ყურის დევნა და მუდამ დარაჯობა მით უფრო საჭიროა იმისთანა საქმისათვის, რომელიც შეადგენს საზოგადოების საკუთრებას,—მის შეილს, რომლის სვე-ბედში ყოველი ფიზიკური საზოგადოების წევრი თავისი ძალღონისამებრ მონაწილეობას ლებულობს. სწორედ ასეთია ჩვენი თეატრიც. იმისთვის რომ საზოგადოებამ თვალყური ადევნოს თეატრს: ან იხაროს ან იგლოვოს მისი აწმყოზედ თუ მომავალზედ, საზოგადოებამ უთუოთ უნდა იცოდეს თეატრის მოქმედების ჯამი, მის წარმოების დაწვრილებითი ანგარიში ან როგორც იტყვიან „ოტჩიოტი“. აქამდე საზოგადოება მოკლებული იყო ასეთი ანგარიშებს და მხოლოთ ამიტომ ვიკისრედ ჩვენ ამ წერილის დაბედეა, რომ თუ ბევრად არა, ოდნათ მანც გავაცნოთ მკითხველებს ჩვენი ქართული თეატრის მიმდინარეობის ანგარიში ამ ორის უკანასკნელის წლის განმავლობაში. ჩვენ ვგონებთ, რომ ეგ ანგარიში მით უფრო დროზედ მოსწრებული იქნება, რომ ეხლახან ახალი დრამატიული კომიტეტი ახალის მმართველობით შესდგა, რომელზედაც დამოკიდებული არის ყველა ჩვენი იმედი, ჩვენი თეატრის იღბალი.

ქართული თეატრი დაჰბადა გ. ერისთავმა, რომლის მარჯვენა ხელს ზ. ანტონოვი შეადგენდა. ამათ დროს ქართული თეატრის საქმე სასიქადულოთ მიდიოდა, მაგრამ შეუწყნარებელმა დრომ ჩამოაცალა თუ არა ისინი ჩვენს წუთის-სოფელს, ჩვენი ნორჩი, ძუძუ მწოვარა თეატრი ჩაეარდა ძიძების ხელში, რომელნიც უფრო თავიანთ საქმეს ზრდიდენ, ვიდრე ეროვნულს თეატრს. ამ რიგათ ჩვენი სცენა დრო-

ბით კუტი შეიქმნა, მართალია დრო გამოშვებით თითქოს ნუგეშს აძლევდენ, ბედს უქადდენ, მას, მაგრამ მართალია ნუგეშით ვინ გამრთვლებულა... ასე, ამ საცოდაობით ქართულმა თეატრმა მოაღწია ჩვენი დრომდე, ესე იგი 1873 წლამდე;—აქედან კინელ-ნელა იწყება თეატრის გაფრთოვანება, მისი ძარღვის ცემა, მისი მოძრაობა და მანასადამე ცხოველი ზედ-მოქმედობაც.—

1879 წელს დაარსდა სამუდამო დასი და 1880 წელს 22 იენის დიდი მთავარი მიხაილისაგან ნება რთვა მოვიდა დრამატიულის კომიტეტის დაარსებაზედ, —ეგ შესამჩნევი გარემოება იყო, მაგრამ დღემდე ვერ გვისარგებლნია ამ გარემოებით.—

თითქოს განგება ხელს უწყობდა ჩვენს თეატრს, როდესაც მას ერთბაშად გამოუჩნდენ ოთხი ფრად ნაქიერნი და ერთობ სასარგებლო არტისტები—ესენი იყენენ და არიან კიდევ: ჩვენი დასის პატრიარქი კონსტანტინე დიმიტრისძე ყიფიანი, ნატალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარლისა, მარია მიხეილის ასული საფაროვი—აბაშიძისა და ვასილი ალაქისი-ძე აბაშიძე. როგორც ყოველს მაგარს შენობას უეჭველად ეჭირება ხოლომე ოთხი დედა-ბოძი, ოთხი კედელი, ისე ჩვენს თეატრსაც ერთბაშად გამოუჩნდენ მართლა და ოთხი დედა—ბოძები, ოთხი საიმედო საძირკვლები. საქმეს უკვე სული ჩაედგა, ქართულს თეატრს კედლები უკვე აემართნენ და მხოლოთ დახურვა და მორთვა ღა უნდოდა. და აი, აქაც ჩვენებს ბედმა არ უმტყუნა და ზედი-ზედ გამოჩნდენ: კნენია ბარბარე ანდრიას ასული ავალოვისა (ხერხეულიძის ქალი), კონსტანტინე სიმონისძე მესხი, ელადიმირ სარდიონის-ძე ალექსიევი-მესხიევი, მარია მაქსიმესასული მძინაროვი, ბარბარე კორანთელი. ყიფიძისა, ქეთევან ანდრონიკოვისა, ნიკოლოზ მაკარისძე თომაშვილი (შიშნიევი) ალექსანდრე მიხეილის-ძე მოხევე (ყაზიბეგი) კონსტანტინე მაქსიმისძე (მძინაროვი) და სხვანი. ეხლა თეატრის ბედს ვერაინ უზრახნდა და მართლაც ჩვენი სცენამ ისეთის დაბეჯითებით და სასიქადულო მეცადინეობით გასწია წარმატებისაკენ დრამატიული კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომ ჩვენი საზოგადოება ერთბაშად გამოიღვიძა, გაიძრ-გამოძრა და ისეთს ალტაცებაში მოვიდა ამ მართლა და საკვირველის თეატრის რიხით, რომ ჩვეულებრივი ძილსაც კი გადახალისდა. უმთავრესი საგანი უკვე მიღწევილი იყო—საზოგადოება გამოფხიზლდა. რა თქმა უნდა, ჩვენ აქ ინტელეგენცია არ გეყავს სახეში, არამედ ის უმრავლესობა ჩვენის საზოგადოებისა, რომელიც მოკლებულ იყო ამ გვარ სანახათ და განვითარებას.

დრამატიულ კომიტეტის ხელ ქვეშ ქართული დასის საქმე საუცხოვოდ მიდიოდა და ორს წელიწადს თეატრმა ისე მტკიცედ მოიღვა ნიადაგი, ისე ღრმად ჩაუშო თავისი ფესვები, საზოგადო მოთხოვნის ნიღბაში: რომ მისი მომავალი თითქმის შეურყეველი იყო და რომ საქმე გვეგრძელებინათ ჩვენი სცენა ბევრს რუსულ სცენებს არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ... უმაგრამოთ ჩვენში ხომ არათფერი არ ხდება—ჩვენი დაუდევრობამ, ურთ-ერთი შეუწყნარებლობამ, პიროვნული ჭიამ თავისი იმოქმედენ და 1883 წლიდამ თუმცა დრამატ. კომიტეტი ქალღმერთად ხსენებაში იყო, მაგრამ საქმით კი დაკუთდა—ლეტარგიულს ძილს მიეცა. დადგა ძნელი დრო.

ამ ძნელს დროს თეატრის მეთაურობა იკისრეს ორმა ჩვენი დასის არტისტებმა ვას. აბაშიძემ და კ. მესხმა (ეგ უკანასკნელი პარიჟიდან ახლათ ჩამოსული იყო) ამათ იკისრეს საქმის წინ გაძლიოლა—ანტრეპრენიორობა და უნდა პირ უთენელად ვსთქვათ, რომ საქმე ჩინებულათაუ წაიყვანეს- მაგათი ანტრეპრენიორობის დროს სცენის სიცხოვლე თითქოს გაორკეცდა, მაგრამ... აქაც მაგრამ. ჩვეულებრივი განხეთქილობამ თეატრს ყელში გავხირა, მათი ანტრეპრენიორობა მეტად ხან მოკლე იყო, მხოლოდ ერთი სეზონი-ლა გასტანეს და დინჯათ დაწყებული საქმე ფარსათ დაბოლოვეს.

(გაგრძელება)

ვალერი—ი

ხალხური პოეზია

ქალო ნუ გინდა ეგ ქმარი სსეულია და მოკვება,
შენ ჩემი თავი აჩიე ბოლომდინ მაკონდება.

ქალო ეგ რა შემოგვიკრამს—შუბლი დაგიშვენება,
მარგალიტი ძუძუები გუღზედ ავისვენება,
ჩემი გული შენ მოგაკლამს სსეისა კავითელებია.

რა გენადლება იქროლოს შენა ქამმა და ჭეენამა,
ეგების ერთათ შეგუყაროს ჩვენმა ბედმა და წყრამა.

შეკრებილი ანინა ან. ამირ-საგან

— ეს რა საკვირველი ენაჲ გატა გურდელეს აკვიდა
ს...ის ტანტანსა წერწედ ტაცხლი წაქვიდა.

— ზერტლებო თქვენი სილი ვერ კაჯალი მემრე ჩირი,
— რაჯა ისიც დაგუდეკათ შეგიდგებთ შავი ჭირი.

— ღირღიტომ ღრიჭინითა ზეცას ღრუბელი გაჭყარა
— გოგამ თავის ჩიქილითა გაუკაცს თავი შეაყვარა.

შეკრებილი ზაყელისაგან

ჩვენ შვიდთა ძმთა მთავარელთა
მთას გეფხვი გამოგუგვიდა
შვიდთაჲ კესრელეთ თოფები
მას ერთი ან მოკვიდა
და ესროლა ბეჭმა ბიამა
გეფხვი კვლავს გადმოკვიდა.

ან ნახულა შენისთანა, დედის მუცლით დასახული,
შექმნით სასე მსიარული, მოსდენილი—გაგანსრული
წაღკოტისა ხარ შირ-მტყეველი, თითქმის მსე ხარ ამო-
სული.

რაც რომ თავლი შენ ან გსედამს სულ-ხორციითაც ან
ანს სრული.

დილას ადრე დაგინახე: იდექ მწყაზარ-ქორივითა,
ძუძუ-მეგრდი დაგინახე, თუთრი გქონდა ბროლივითა.
გატინება გისდებოდა, დილით გაშლილ ვარდავითა,
უცხო რამ საყვარელი ხარ, სთამაშო ნარდავითა.
შეკრებილი გიგო დიხსამიძისაგან

მომხრობანი

ორი მანუგაშუბელი.

ვოლტერის მომხრობა.

ფრანგულით ნათარგმნი.

გამოჩენილი ფილოსოფოსი სიტოფილი ერთ-ხელ ერთს სასოწარკვეთილებაში ჩაეარდნილს ქალს, ეუბნებოდა: «ქალბატონო ინგლისის, დიდი ჰენრი IV-ს ქალი, თქვენზედ უფრო უბედური იყო: სამეფოთგან განდევნეს, თავის თვლით ნახა თავის ქმრის ჩამორჩობა». — «ეწუხვარ მისთვის», თქვა ქალმა და თავის უბედურობაზე მოჰყვა ტირილს. «ხომ განსოვთ მარიამ სტუარტი: იმას ვაგვიყვებით უყვარდა ერთი მარჯვე, კოპწია ტანის მემუსიკე; ქმარმა თვალთ წინ მოუკლა საყვარელი და მერე მისმა

კეთილმა ნათესაებმა და მეგობარმა, მეფე ელისაბედმა, ქალწულათ თქმულმა, 18 წლის დატუსაღების შემდეგ, თავი მოჰკვეთა. — «მეტის მეტი გულ-ქვაობა», უპასუხა ქალმა და თავის მელანქოლიას მიეცა. — «თქვენ უთუოთ გაგვეგონებათ, სთქვა მანუგეშებელმა, ლამაზი ქან-დენაპლი, რომელიც უღეთოთ დააჩრჩევს. — «ძლივს მახსოვს», სთქვა მოწყენილმა. — «მე თქვენ ვიამბობთ ერთის სამეფოს მმართველს ქალზე, რომელიც ტანტიდგან ჩამოადგეს და მერე უღაბნო კუნძულზე სული დალია». — ვიცი ეგ ისტორიები, უპასუხა ქალმა. — «მე კარგი; მე თქვენ მოგახსენებთ რა მოუვიდა ერთს პრინცესს, რომელსაც მე ფილოსოფიას ვასწავლიდი: როგორც სუყველა ლამაზს და დიდს პრინცესს, მასაც საყვარელი ჰყავდა, მამა უცებ შეესწრო და თავის ქალის საყვარელი ანთებულის სახით, ბრწყინვალე თვალებით ნახა; ქალსაც აღმული აღიოდა; მამას ვაყის სახე არ მოეწონა და საშინელი სილა აქამა; მოთმინებითგან გამოსულმა ყმაწვილმა, საკეცით ისე გაუტეხა თავი თავის სასიამოროს, რომ ჰრილობა ძლივს მოიჩინა და ნიშანი სამუდამოდ დარჩა; დაბნეული ქალი საკმლითგან გადახტა და ფეხი ისე იტკინა, სომ ეხლა შესამჩნევად კოკლობს, თუმცა მშვენიერი ტანი აქვს; საყვარელს-კი, იმისთანა დიდის პრინცის თავის გატენისათვის, სიკვდილი გადაუწყვიტეს. გასაჯეთ, რა მდგომარეობაში იქნებოდა პრინცესი, როცა მის საყვარელს მოსაკლავად წაიყვანდენ; მე ხშირად ვხედავდი მას, თავის უბედურობის მეტზე არა ფერზე ლაპარაკობდა. — «მე თქვა ქალმა, «მე რომ ლამაზი პრინცესის დროს ეყოფილიყავი, გგონიათ თქვენს ამბებს ყურს დაეუგდებდით?»

იმ ხანში ფილოსოფოსს თავისი ერთი შვილი მოუკვდა და მწუხარებისაგან წინაღამ მოკვდა. ქალმა ყველა მეფეების სია შეადგინა, რომელთაც შვილები დახოცოდით და ფილოსოფოსს გაუგზავნა: წაიკითხა, ჰკუას ახლოთ იცნო და აღარ უტირია. სამისთვის შემდეგ ერთმანერთი ნახეს და ძრიელ გაკვირდენ, როცა ორივე მხიარული იყო. იმათ გძელი აავეს ამ წარწერით: «მას ვინც ანუგეშებს».

პ. ყიფიანი.

ბ ი ჟ ი ა ?

გი დე მოზასანის

მოთხრობა.

ფრანგული ნათარგმნი.

პ. შირიანი-შვილის მიერ.

გიცი ვარ? თუ მხოლოდ შურიანი? ამისი არაფერი არ ვიცი, მაგრამ საშინლად კი ვიტანჯები. სიგიჟე ჩავიდინე, მართალია გამძვინვარებული ვარ მისგამო; მაგრამ სულის შემხუთავი შური, ალტაცებული, ნალალატევი დასჯილი სიყვარული, ის საძაგელი მწუხარება, რომელსაც ვითმენ, განა ყოველივეს არ კმარა მისთვის რომ ჩაგვადენიოს ცოდვა, სიგიჟე და გრძნობით და გონებით კი არ ვიყოთ მართლა სჯულ-გადამავალნი?

ოჰ! ეწუხდი, ეწუხდი, ეწუხდი განუწყვეტელად, უმწვერვალესად, უცნაურად. მე ის ქალი გაშმაგებით მიყვარდა... მაგრამ განა მართალია? მიყვარდა განა? არა, არა, არა. მან შეიპყრო ჩემი სული და გვამი, დაიქირა, შებორკა. მე ვიყავი, მე ვარ მისი ნიეთი, მისი სათამაშო. მე ვეკუთვნი მის ღიმილს, მის ბავებს, მის თვალის-ჩინს, მისი გვამის აგებულებას, მისი სახის-მეტყველებას; მისი გარეგანი მოჩინარობას სულს მიხუთავს; მაგრამ იგი, იმ ნაირი დედა-კაცი, იმ გვამის არსება მძაგს, მეზიზღება, მძულს, ყოველთვის მძაგებია, მზიზღებია, მძულებია; რადგანაც იგია ორგული, პირუტყვი, უწმინდური, წამბდარი; იგია დაღუპული ჭაღი, გრძნობის ამყოლი და მატყუარა ცხოველი, რომელშიაც სული აღარ დგას, რომელშიაც აზრი არაოდეს არ მოძრაობს როგორც თავისუფალი და ცხოველ-მყოფელი ჰერი; იგია პირუტყვი დედა-კაცი, ამის ნაკლებიც; იგია მხოლოდ ტანი, საოცარი ტკბილი ხორცი, რომელშიაც მკვიდრობს უპატიოსნობა.

ჩვენი შეუღლების პირველი დრო ტკბილი და უცნაური იყო. მის მუდამ გაშლილ მკლავთა შორის უღონოებას ვგრძნობდი ბრან-მორეული მოუკლავის სურვილის გამო. მისმა თვალებმა პირი გამაღებინა, თითქო მათ ჩემთვის წყურვილი აღეძრათ. მას თვალები ჰრელი ჰქონდა შუადლისას, მწვანედ შეხამებული საღამოს ჟამს, და ცისფერი აღმომავალის მზის დროს. არა ვარ გიჟი; გეფიცებით, რომ სამივეს ფერი ჰქონდა მის თვალებს.

მიჯნურობის დროს თვალები ცისფერი ჰქონდა, თითქო შელახული, მაგრამ თვალის კაკლები კი უზომოდ დიდი და ნერვებ-აშლილი. ხანდისხან ვარდის-ფრად გამოიყურებოდა მისი ცახცახით შერყეული ბაგე, რომელსაც ასველებდა ქვემძრომივით კლა-

კნილი მისი ენა; და მიიმე ქუთუთოები ნელნელა მალლა ეწეოდა და გამოუჩნდებოდა ის მგზნებარე და მიზნედილი თვალეზი, რომელნიც მე მაგიყებდენ, მაშმაგებდენ,

მკლავების მკიდროდ შემოვლენის დროს ვუყუარებდი მის თვალს და ეცახცახებდი მრთლად შემუსვრილი რამდენად იმ პირუტყვის მოკელის საჭიროებით იმდენად მის განუწყვეტლად ფლობის მიუცილებლობით.

როდესაც ის დადიოდა ჩემს ოთახში, თითოეულისავე მისი ნაბიჯის ხმაურობა ჩემს გულს აძლევარებდა; და როდესაც ტანთ განდას დაიწყებდა, კაბას გაიძრობდა, და უნამუსო და ბრწყინვალე გამოდიოდა თეთრეულისაგან, რომელიც დაბლა ეცემოდა მის გარეშემო, სახსრების გაყოლებასზე, მკლავებში, მუხლებში სუნთქვა-გაჭირვებულ გულ-მკერდში დამასუსტებელი და განუსაზღვრელი ბნედა მიევიდა.

ერთ დღეს შევნიშნე რომ ჩემგან აბეზარს მოსულიყო. მე ეს ამოვიკითხე მის თვალში გაღვიძების დროს. ჩახუტებული ყოველ დილას ველოდი მის პირველ გამოხედვას. ველოდი აღსავეც სიბრაზით, სიძულელით, იმ მიძინარე სულელის მიმართ, რომლის მონა მე ვიყავი. მაგრამ როდესაც გამოჩნდებოდა მისი თვალის კაკლის მკრთალი სილურჯე, ეს წყალივით გამჟებრვალე სილურჯე, ჯერ კიდევ მიზნედილი, ჯერ კიდევ მისუსტებული და მილახული წინა-ხნის აღერსიანობით, მედებოდა რაღაც მსწრაფლი აღმურივით, რომელიც მწეავდა, ჩემს მგზნებარებას სასოწარკვეთილებებში ავდებდა. იმ დღეს როდესაც ქუთუთო მალლა ასწია, შევნიშნე გულ გრილად და სახის-მოღრუბლივით გამოხედვა, რომელსაც აღარაფერი არ სურდა.

ოჰ! ენახე, ვიცანი, ვიგრძნე გავიგე მაშინვე. საშულდამოდ გათავებულ იყო. მისი საბუთი ყოველ საათში, ყოველ წუთში მქონდა.

როდესაც მკლავებითა და ბავით მოვიწვევდი, ის პირს მიიბრუნებდა მოწყენილი, მოდულუნე: „ღამესსენით“ ან და „საძაგელი ხართ“! ან: აღარ მომასვენებთ“!

მაშინ კი შურმა შემიაყრო შევიქენ ძალღვივით შურიანი, ეშმაკი, დაუნდაბელი, ვერაგი. მე კარგად ვიცოდი, რომ იგი კვლავაც დაიწყებდა, რომ სხვა ვინმე მოვიდოდა მისი გრძნობის ასანთებდა.

გავხდი შურიანი და სიბრაზეც მომერია; მაგრამ გიჟი კი არა ვარ; არა, ცხადია, არა.

მოვიცადე: ოჰ! ვუთვალ-თვალეზი; იგი ვერ მომატყუებდა; მაგრამ იგი ცივად მეკიდებოდა ხმას არ იღებდა. ხან-ღან იტყოდა: „კაცები მძაგსო“ მართალიც იყო.

მაშინ კი ეჭვი ამაღებინა თვითონ მან; მისმა გულ-გრილობამ, მისი ღამის მარტობამ; მისმა მიხრა-მოხრამ, მისმა აზრმა, რომელიც მულამ უნამუსო მეგონა, ეჭვი ამაღებინა ყველაფერმა, რასაც ვხედებოდი. როცა ხან-ღან, ადგომის დროს, ექნებოდა ის ნაზი გამოხედულება, რომელიც ოდესმე მოსდევდა ჩემს მიჯნურობის-ცეცხლიან ღამეებს, თითქოს რაღაცა გული-თქმა სწვევადეს მის სულს და გაღვიძებოდა მისი სურვილი, რისხვით სული მეხუთებოდა, დრტინვით ეთრთოდი, საშინლად მიწოდდა ქვეშ ჩამეგლო, და ყელში ხელის წაჭერით მეთქმეინებია მისი გულის ყველა სასირცხვო საიდუმლოები. (გასაგრძელებელი)

ქართული თეატრი.

დღეს იწყება ქართული დრამატიული დასის სეზონი და წარმოდგენილი იქნება 4 მოქმედ. კომედია «ეხლანდელი სიყვარული», თარგმნილი რუსულით ეასილი აბაშიძისაგან, და „სცენები მოპრიგებელ მოსამართლესთან“ 1 მოქმედებათ დავით სოსლანისა. მონაწილეობას ღებულობენ ჩემნი უკეთესი არტისტები. უნდა ვიმედლოვოთ, რომ დრამატიული კომიტეტის ხელ-მძღვენილობის ქვეშ ჩემნი თეატრის საქმე ჯეროვან გზაზე დადგება, და საზოგადოებას ნამდვილი ესტეტური საზრდო მიეცემა.

ანეგდოტები

ერთხელ ა. დიუმა-მამამ უთხრა თავის შვილს: — გამიგონე, ალექსანდრე, უნდა დატკვიანდე... გადარბაისლდე—დროა ცოლი მოძებნო. — ეის ცოლს მიჩჩევთ, მამაჩემო, უპასუხა Demimonde-ის აეტორმა.

განსვენებულ დრამატიულ არტისტს რ—ეს გადაჭარბებით უყვარდა ღვინის სმა. ამის გამო იმპერატორთ თეატრებზე აღკრძალული ჰქონდა თამაშობა და პროვინციებში თამაშობდა. ერთხელ, როდესაც რ. ერთ პროვინციულ თეატრში თამაშობდა ჰამლეტის როლს, ჰიესის დასასრულ ისე დათვრა, რომ წარმოდგენის გათავების შემდეგ შესამოსი არ გამოუცვლია და ისე ჰამლეტის შესამოსით გასწია ერთ-ერთს ღვინის სარდაფში. ამ სარდაფში მან შეისრულა დანაკლისი და გასწია სახლისკენ. გზაზე არტისტი წაბოჩიკდა და ღვდამიწაზე გაიშხლარ-

თა, აღგომა ველარ შეიძლო და იქვე დააპირა ძილი.

შორი—ახლოს პოლიციელი იღვა, რომელმაც შეამჩნია რ-ვის წაქცევა, მივიდა მასთან და დაუყვირა

— ვინა ხარ?

— „პრინცი ჭამლეტი“ უპასუხა რ-მა მთერა-ლის კაცის ხმით.

— ჰო, შენმა მზემ, როგორ არა, დაუყვირა პოლიციელმა და მოუკიდა სპიჩკას. სპიჩკის სინათ-ლემ გაანათა რ-ვი და მისი ტანთ-ჩაცმულობა, რომელიც შეადგენდა ბუზმენტებს, ხავერდს, თავზე ეხუ-რა ქუდი მორთული ფრთითა. გაშტერებულმა პო-ლიციელმა რ-ვი პრინცათ, ან რომელიმე უცხოეთის ღილ კაცათ მიიღო; აღარ იცოდა რა ექნა და განცვი-ფრებულმა პოლიციისაკენ გასწია. პოლიციაში მან „კვარტალს“ მიჰმართა შემდეგის სიტყვებით: «მე ერთ შემთხვევას წავაწყდი, ქუჩაში გღია უფონოთ მთერალი უცხოეთელი პრინცი ან ვინმე ფრიალ წა-ჩინებული პირი! ამ სიტყვებმა ისე დაარწმუნეს კვარ-ტალნი, რომ იმან მაშინათვე გაიყოლა ჩამდენიმე პოლიციელი ანთებული ფარნებით და მივიდა იმ აღ-გილას, სადაც «პრინცი ჭამლეტი» ღრმა ძილს მისცე-მოდა. შემდეგ რ-ვი იცნეს და სახლში მიიყვანეს.

არისტოპი, რომელიც დიონისეს თავის მეგობ-რისთვის რალაცა მოწყალებასა სთხოვდა იქამდის ეხვე-წა, რომ მის ფეხ ქვეშაც კი დაეცა.

როდესაც მას ამაზედ საყვედური დაუწყეს, მა-შინ მან მიუგო: «ამ ქცევისთვის მე კი არა, დიონი-სი უნდა გაჰკიცხოთ რომელსაც ყურები მხოლოდ ფეხებში აქვსო».

ერთს რომაელს უსაყვედურეს, რომ მან თავის უმანკო, ლამაზს და მდიდარსკოლს უბრალოდ გა-ნება თავი, მაშინ მან მიუთითა საყვედურის მიმცემთ თავის ფეხზე და უთხრა: ეს წალა ხომ ჩინებული და ახა-ლია, მაგრამ ჩემს მეტმა მანინკ არაფინ იცით ის აღ-გილი, სადაც ეს მე მიჭერსო...

როდესაც ლ. რუტილი არ დასთანხმდა თავისი მეგობარს ამაზნავს თხოვნაზედ, რომელსაც იგი უსამართლოდა სთელიდა, მაშინ მეგობარმა უთხრა: «რათ მინდა შენი მეგობრობა თუ თხოვნასაც არ

შემისრულებთ». «არც ჩემთვის არის საჭირო შე-ნი მეგობრობა, თუ რომ იგი მაიძულებს უსამარ-თლობის ჩადენასაო—მიუგო რუტილიმ.



რედაქტორ-გამომცემლის მაგიერი ვაღუერიან გუნიო.

თბილისის საქალაქო გაგზომვა

ამით საყოველთაოდ აუწყებს, რომ ამა სეკტე-მბრის 4-იდან ეოველ დღეობით დილის 9. საათიდან 2 სათამდე შეიძლება ნახონ სია ქა-ლაქის ამომრჩეველებისა მომოვალ ოთ-სი წლის ვადაზე 1887—1890 წლამდე. იმ პირთ, რომელნიც შეცდომით არიან შეტანილ-ნი სიაში, ან სრულებით არ არიან დაწერილნი, შეუძლიანთ თხოვნით მიჰმართონ გამკეობას ამა სეკტემბრის 7—21-მდე. თხოვნა თავის დრო-ზე მოხსენებული იქნება საბჭოს წინამე. გამკეობის წევრი სო სროევი (3—1.)

ლეღ-ენა

ანუ ანბანი და პირველი სა-კითხავი წიგნი, მისუთმ გამოსცემა, შეცვლილი და შევსებული, დაიბეჭდა და ისუიდება გამომ-ცემელის გრიქუროვის მაღაზიაში. ამ ანბლის გამოცემის ანბანი თითქმის ხელ-ახლად არის შედგენილი და მასში ჩამატებულია საწერი დე-დანი, პირველ ხანში სახმარებელი. პირველი საკითხავი წიგნი შევსებულია ახალი სავარჯიშო-ებით; მოთხრობებით, დექსებით და სურათე-ბით, გარდა ამისა შეცვლილია რედაქცია ზო-გიერთა წინანდელი მოთხრობისა და დექსები-სა. წიგნის მეორე—სადმრთო ნაწილი იპყრობს პირველის წლის კურსსა ორივე აღთქმის მოთ-ხრობისას, სურათებით. სადმრთო მოთხრობები თავდება წმიდა ნინოს ცხოვრების და მოქმედე-ბის მოკლე აღწერით, რომელიც სურათით არის შემკობილი. წიგნი წინანდელს გამოცემაზედ ერთ-თი თაბანით, ანუ 32 გვერდით, დიდია; მაგრამ ფასი კი შეუცვლელად არის დარჩენილი. გამომ-ცემლის გრიქუროვის მაღაზია იმყოფება კუკიის ხიდის ქურთან, ბადის პირდაპირ.